MES 5 22 0000324016

29/03/2022

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი: 15.03.2022**
**სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ**
**სხდომის დასრულების დრო: 20:30 სთ**
**საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი**
**საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
**გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
**ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
**ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
**მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
**ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
**თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
**ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
**თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

**დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
**ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
**დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
**გურანდა ჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

| N | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | ლალი ოდიშვილი | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი |
| 2 | ნინო ალავიძე | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი |
| 3 | ნინო სარჯველაძე | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი |
| 4 | სოფიკო ქურასბედიანი | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი |
| 5 | ანა ქოიავა | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი |

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

| N | სახელი, გვარი | საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | სტატუსი | საკითხი |
|---|---|---|---|---|
| 1. | გიორგი სოსიაშვილი | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | უნივერსიტეტის რექტორი | I |
| 2. | ლევან მიდოდაშვილი | | უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | I |
| 3. | ციური დურული | | პროცესის მართვის სამსახურის უფროსი | I |
| 4. | მ ა რ ი კ ა შერაზადიშვილი | | ფაკულტეტის დეკანი | I |
| 5 | ნინო ორჯონიკიძე | | ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | I |
| 6 | ქეთევან ლომსაძე | | პროგრამის ხელმძღვანელი | I |
| 7 | ნინო ლაბარტყავა | | პ რ ო გ რ ა მ ი ს თანახელმძღვანელი | I |
| 8 | დავით მახვილაძე | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | II, III |
| 9 | ხათუნა მხეიძე | | | II, III |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე | |
| 10 | ლაშა შატაკიშვილი | | სტუ-ის ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანი | II |
| 11 | ქეთევან ქუთათელაძე | | სტუ-ის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | II |
| 12 | სიმონ ნემსაძე | | „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი | II |
| 13 | ნანული დანელია | | სტუ-ის ავტორიზაციის და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი | II, III |
| 14 | ოთარ გელაშვილი | | სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი | III |
| 15 | ნათია ბუთხუზი | | სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | III |
| 16 | რეზო თედორაძე | | „ლოგისტიკის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი | III |
| 17 | მამუკა თავხელიძე | შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი | უნივერსიტეტის რექტორი | IV |
| 18 | მოგელი შენგელია | | უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | IV |
| 19 | ზაზა ბერიშვილი | | დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხელმძღვანელი | IV |
| 20 | ნინო გორდელაძე | | მედიცინის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი | IV |
| 21 | გია ჯაფარიძე | სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | პროგრამის ხელმძღვანელი | V, VI |
| 22 | ანდრია როგავა | | ასოც. პროფესორი | V, VI |
| 23 | მაია თოდუა | | ასოც. პროფესორი | V, VI |
| 24 | ნუნუ მეტრეველი | | ასოც. პროფესორი | V, VI |
| 25 | ზურაბ თავართქილაძე | | ასოც. პროფესორი | V, VI |
| 26 | ელენე ჟურავლიოვა | | საბუნებისმეტყველო მეცნიერბების და მედიცინის | V, VI |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | |
| 27 | ნინო ჟვანია | | ხარისხის უზრუნველყოფს სამსახურის უფროსი | V, VI |

აკრედიტაციის ექსპერტები

| N | სახელი, გვარი | ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ | საკითხი |
|---|---|---|---|
| 1 | ქეთევან ბერიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 2 | ნათია სორდია | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 3 | ია ნაცვლიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 4 | ლანა ბოკუჩავა | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 5 | ავთანდილ თავხელიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 6 | მაია ტუღუში | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 7 | მიხეილ ბიჭია | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 8 | ნანა ფირცხელანი | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 9 | რომან მამულაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | III |
| 10 | ლეილა ახვლედიანი | (ჩაერთო „ზუმით“) | IV |
| 11 | ლიანა საგინაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | IV |
| 12 | ირაკლი გაგუა | (ჩაერთო „ზუმით“) | IV |
| 13 | რევაზ შანიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | V, VI |

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**
სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკა და ასტრონომიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

საბჭოს გადაწვეტილებით შეიცვალა დღის წესრიგის მიმდევრობა

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**
სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკა და ასტრონომიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

**1. პირველი საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფსიქოლოგია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | პირობით აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | გადაწყვეტილება N52, 2020 წლის 24 მარტი |
| 5 | | - |

| | | |
|---|---|---|
| | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მეექვსე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ფსიქოლოგიის ბაკალავრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | ფსიქოლოგია, 0313 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | ჩერქეზიშვილის ქუჩა, N4, ქ. გორი, სასწავლო კორპუსის N3, საფოსტო ინდექსი-1400, საქართველო. |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- დავით ჩოჩიშვილმა და თეა მჭედლურმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდა 2022 წლის 12 იანვარს. კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში, დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შეფასება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა დისტანციურად, კერძოდ, zoom პლატფორმის მეშვეობით.

წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, ვიზიტი შედგა სსიპ-ის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან და ხელმძღვანელთან, ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, სტუდენტთა მომსახურების პერსონალთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მოხდა გორის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორის ციური დურულის, ხოლო ელექტრონული ბიბლიოთეკის დათვალიერება - ბიბლიოთეკარის დახმარებით.
სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
მიზანშეწონილია ცალკეული კურსების ფარგლებში სტუდენტებისათვის ინგლისურ ენაზე შეთავაზებული სავალდებულო ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამაზე დაშვების არსებულ წინაპირობებთან.
მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასწავლო გეგმით ჯერ ისწავლებოდეს ფსიქოთერაპიის საფუძვლები, ხოლო შემდეგ კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების დოკუმენტში მოცემულია სტუდენტთა პროგრესი წლების მიხედვით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. მეორე წელს მიღებულ იქნა 12 სტუდენტი, თუმცა მითითებულია 116%, აქედან გამომდინარე საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ მოცემული პროცენტების მნიშვნელობა. ამასთან საბჭოს წევრმა აღნიშნა კურსდამთავრებულთა შეფასების მაჩვენებელი ბოლო ხუთი წლის მანძილზე, რომლის მიხედვითაც ფრიადი არც ერთ სტუდენტს არ აქვს მიღებული, რაც საკმაოდ დაბალი შედეგია.
საბჭოს წევრმა ისაუბრა სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემული იყო 70% პროცენტი, თუმცა რას გულისხმობს აღნიშნული მონაცემი გაურკვეველია. ამასთან მნიშვნელოვანია ,,წერითი და ზეპირი კომუნიკაციების“ სასწავლო კურსი, სადაც პირველი შუალედური გამოცდა ფასდება დახურული კითხვებით და ოთხი ღია კითხვით, საიდანაც თითოეული ფასდება 5 ქულით, თუმცა ჩაშლილია მხოლოდ სამი ქულა და არ ჩანს თუ როგორ უნდა მიიღოს სტუდენტმა ხუთი ან ოთხი ქულა, იდენტურია მდგომარეობა დასკვნით გამოცდასთან მიმართებით. ამასთან გამოყენებულია შედარებით მოძველებული სახელმღვანელოები.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დააზუსტა თუ რა სახით ხდება სტუდენტების გამოკითხვა, ვინაიდან თვითშეფასების ანგარშში აღნიშნულია, რომ მსგავსი ღონისძიებები ტარდება, თუმცა არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტი, ხოლო ექსპერტთა დასკვნაში კი მოცემულია,

რომ იგეგმება აღნიშნული ღონისძიების ჩატარება. სახეზე არის ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა მხარეებს საკითხის დაზუსტებისკენ.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმის მიხედვით, პროგრამაში, ,,სტატისტიკის საფუძვლები" და ,,ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები" ძირითადი სწავლების სფეროს კურსებად არის მიჩნეული. თავად სილაბუსები კი, არ არის ფსიქოლოგიის დარგთან შესაბამისობაში. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რამ განაპირობა, რომ აღნიშნული კურსები წარმოდგენილია დარგობრივი საგნების სახით.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა, მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ რა უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. აღსანიშნავია ასევე, რომ შრომის ბაზრის ანალიზი დაწესებულების მიერ საკმაოდ კარგად არის წარმოჩენილი, თუმცა წარმოდგენილია მხოლოდ 8 ორგანიზაცია, შესაბამისად, მნიშვნელოვანია დადგინდეს თუ რამდენად ვალიდურია აღნიშნული მონაცემები. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ რიგ სასწავლო კურსებში სავალდებულო მასალა კვირების მიხედვით არ არის მოცემული.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა, თუ წარმოდგენილი აკადემიური პერსონალიდან რამდენი იყო აფილირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმდჯომარემ აღნიშნა, რომ მეთოდებთან დაკავშირებული საკითხი ექსპერტებს გათვალისწინებული ჰქონდათ რჩევებში. სადაც მოცემული იყო, რომ სასურველია სილაბუსებში მხოლოდ ის მეთოდები იყოს გათვალისწინებული, რომელიც რეალურად გამოიყენება სწავლების დროს. რაც შეეხება ფრიადით შეფასებას, ინტერვიუების დროს დაწესებულებამ აღნიშნა, რომ მიაქცევდა მოცემულ საკითხს ყურადღებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარომადგენელმა ისაუბრა შეფასებებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ შეფასებები წარმოდგენილია რუბრიკების სახით. რაც შეეხება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას, რეალურად პროცენტული მაჩვენებელი წარმოადგენს სწავლების ნიშნულს, რომელიც დაწესებულებას სხვადასხვა რეკომენდაციების საფუძველზე აქვს მიღებული, რაც საქართველოში ორიგინალურ სისტემას წარმოადგენს. დაწესებულებას კონკრეტულად აქვს გაწერილი კითხვები, თუ რას უნდა გაეცეს პასუხი სწავლის შედეგების შეფასების შემდეგ. კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევა შეიძლება მეტ ძალისხმევას საჭიროებდეს, რაც დეტალურად აღწერილია პროგრამის ფარგლებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემული შრომის ბაზრის კვლევა ძირითადად ორიენტირებული იყო რეგიონზე და დაწესებულების მოსაზრება სრულიად საკმარისი და რელევანტურია.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე სტატისტიკისა და ორგანიზაციული ქცევის სასწავლო კურსებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ თავად კურსების მნიშვნელობამ განაპირობა მათი ჩართვა ძირითადი საგნების კატეგორიაში. რაც შეეხება ორგანიზაციულ ქცევას, მისი თემატიკა, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად მენეჯმენტის საკითხებსაც მოიცავს, მაგრამ თემატიკის დიდი ნაწილი არის ფსიქოლოგიური, სოციალურ-მეცნიერებებთან დაკავშირებული თემები. რაც შეეხება დარგის სპეციალისტს, პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია ორი აფილირებული ფსიქოლოგიის დოქტორი.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე ბიუჯეტთან დაკავშირებით და განმარტა, რომ თითოეულ პროგრამას გააჩნია თავისი ბიუჯეტი, რომელიც ცხადია საერთო ბიუჯეტში არ ჩანს, ვინაიდან ყველას აქვს თავისი კოდი, რის მიხედვითაც ხდება მათი გადანაწილება.

მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიის პროგრამა ფინანსურად მდგრადია, პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია მოკლევადიანი სასერტ იფიკატო პროგრამა, რომელიც დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოდგენს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა სტატისტიკასთან დაკავშირებით განმარტა, რომ არსებობს დარგობრივი სასწავლო კურსებიც, მოცემული საგნის სილაბუსში მოცემული სახელმძღვანელოები არ შეესაბამება ფსიქოლოგიის პროგრამას, მოცემულია სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. შესაბამისად, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, დაწესებულებას აღნიშნული სილაბუსი განეხილა, როგორც ზოგადი საუნივერსიტეტო მოდულის ნაწილი, ხოლო დარგობრივი სტატისტიკა დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსებს.
**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

დაწყების დრო: 14:56
დასრულების დრო: 15:20

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

**აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:**

**რეკომენდაციები:**

1. მიზანშეწონილია ცალკეული კურსების ფარგლებში სტუდენტებისათვის ინგლისურ ენაზე შეთავაზებული სავალდებულო ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამაზე დაშვების არსებულ წინაპირობებთან;
2. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასწავლო გეგმით ჯერ ისწავლებოდეს ფსიქოთერაპიის საფუძვლები, ხოლო შემდეგ კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია;
3. სილაბუსებში გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები;
4. გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის სავალდებულო სასწავლო კურსში გადატანა;
2. სასურველია, რომ სილაბუსებში მხოლოდ ის მეთოდები იყოს მითითებული, რომელიც რეალურად გამოიყენება სწავლების დროს;
3. სასურველია უფრო დეტალური გარე კოლეგიალური შეფასების მიღება საზღვარგარეთის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებიდან და დარგის სპეციალისტებისგან.

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-$3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**2. მეორე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | პირობით აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2020 წლის 06 მარტის N19 გადაწყვეტილება |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მეექვსე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | მეცნიერების ბაკალავრი ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული, 0719 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ.კოსტავას ქ.N77, ქ.თბილისი, სასწავლო კორპუსი N8, 0160, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა- ეკატერინა შაკიაშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდა 2022 წლის 27-28 იანვარს. ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას; პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს; პროგრამის ხელმძღვანელებს; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს.
აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში მოხდა აგრეთვე პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები). ვიზიტის დასასრულს საექსპერტო ჯგუფს გამოეყო სამუშაო დრო ვიზიტის მსვლელობისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებების ჩამოსაყალიბებლად და დაწესებულების წარმომადგენლებისათვის გასაცნობად.
წარმოდგენილი პროგრამა შეესაბამება მასში მითითებულ სწავლის დეტალურ სფეროს - 0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული. წინა აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამა არ შეესაბამებოდა მასში მითითებულ სწავლის დეტალური სფეროს „0713 ელექტრობა და ენერგია“-ს კლასიფიცირებული სწავლის სფერო „0713.1.2 ელექტროინჟინერია“-ს. პროგრამა მნიშვნელოვნად არის შეცვლილი პროგრამის მიზანი, სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაშია მოყვანილი მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან მოქმედი სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით.
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**
მიზანშეწონილია, გადაიხედოს სასწავლო კურსების: „ელექტრული სისტემები“, „საინჟინრო ელექტრონიკის საფუძვლები“, „ენერგეტიკული ელექტრონიკა“, „ელექტროტექნიკური მოწყობილობების ანალიზი გამოყენებითი პროგრამული პაკეტებით LabVIEW, MULTISIM, Matlab“, „ელექტრული ენერგიის გარდაქმნა (ელექტრული მანქანები)“ თან(ა)მიმდევრობა;
მიზანშეწონილია, გადაიხედოს სასწავლო კურსში „შესავალი სისტემათა ინჟინერინგში“ აღწერილი სწავლის შედეგები, კერძოდ, რამდენად მიღწევადია ის სტუდენტისათვის პროგრამით განსაზღვრულ სემესტრში შესწავლისას;
მიზანშეწონილია, აღმოიფხვრას „საბაკალავრო ნაშრომის“, „საბაკალავრო ნაშრომის შესავლისა“ და „აკადემიური წერის ელემენტების“ ურთიერთგადაფარვები, ასევე, გაერთიანდეს ისინი ორ სასწავლო კურსში დუბლირების თავიდან ასაცილებლად;
რეკომენდებულია, რამდენიმე საგნის („ელექტრული სისტემები“, „კიბერუსაფრთხოება ელექტროენერგეტიკულ სისტემებში“, „ზოგადი ქიმია A“, „ეკონომიკის პრინციპები“, „შრომის დაცვის საფუძვლები“ და სხვა) სილაბუსში გამოირიცხოს სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობის აღრევა, ხოლო სწავლის მეთოდები გაიმიჯნოს შეფასების მეთოდებისგან;
მიზანშეწონილია, სასწავლო კურსების („ზოგადი ქიმია A“, „ეკონომიკის პრინციპები“, „ენერგეტიკული ელექტრონიკა“ და სხვა) სილაბუსებით გათვალისწინებული აქტივობები ისე განისაზღვროს, რომ მათი შეფასება სემესტრის განმავლობაში რეალიზებადი და რეალისტური იყოს.
მიზანშეწონილია, გაძლიერდეს მონიტორინგის ღონისძიებები პროგრამაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა-შევსების, მათ შორის დაინტერესებულ აქტორთა საჭიროებების პერიოდულად გარკვევის, სასწავლო კურსების დახვეწის, შეფასების სისტემისა და სხვა ნაწილების გაუმჯობესების მიმართულებით.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემული რჩევები, შინაარსობრივად რეკომენდაციების ხასიათს ატარებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა თუ რატომ არის მნიშვნელოვანი საკითხები, ისეთი როგორიცაა თუნდაც ბიუჯეტი, რომელიც წარმოდგენილია რჩევების სახით.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა რეკომენდაცია აკადემიურ წერის სასწავლო კურსთან და საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მოცემული სასწავლო კურსები საჭიროებენ გაერთიანებას, ვინაიდან აკადემიური წერა არჩევით სასწავლო კომპონენტშია მოცემული, რაც ნიშნავს იმას, რომ სტუდენტის მიერ აღნიშნული შეიძლება არ იყოს არჩეული. შესაბამისად, უმჯობესია არსებობდეს ერთი სავალდებულო სასწავლო კურსი, რომელიც ყველა აუცილებელ და მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს. გარდა ამისა, ,,აკადემიური წერის ელემენტების“ სასწავლო კურსში დასახვეწი და გადასახედია შეფასების მეთოდები, ვინაიდან მარტო ზეპირი გამოკითხვითა და ღია კითხვებით სწავლის შედეგები ვერ იქნება მიღწეული.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა რჩევა, რომელიც გულისხმობს მემორანდუმებში ხანგრძლივობისა და რაოდენობის მითითებას, რაც წარმოადგენს 2.4 კომპონენტის სავალდებულო მოთხოვნას. ვინაიდან ეს რჩევა მრავლობით რიცხვშია მოცემული, საუბარია არა ერთ მემორანდუმზე.

შესაბამისად, საკითხი უნდა იყოს განსაზღვრული არა რჩევის, არამედ რეკომენდაციის სახით. ამასთან, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრათ პრაქტიკასთან და მის გაძლიერებასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ 2.6 კომპონენტში, რჩევების ნაწილში დაახლოებით 7-8 რიგითობა არის ჩამოთვლილი სილაბუსებში შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც საჭიროებს დაზუსტებას.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა ,,საქართველოს ისტორიის" სასწავლო კურსი და დააზუსტა თუ რატომ უბრუნდება დაწესებულება ისევ ძველ ისტორიას, მაშინ როცა მოვდივართ თანამედროვე პერიოდამდე. თუმცა აღნიშნული არ არის პრობლემა. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ვერ გადაფარავს იმ კონკრეტულ საკითხებს, რომელიც შეეხება საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, ანუ ქვეყნის ისტორიის ბოლო პერიოდს. გამომდინარე აქედან, აუცილებელია გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამის ბიუჯეტი შემუშავებულია საერთო საუნივერსიტეტო ფორმის შესაბამისად. აქედან გამომდინარე ექსპერტები ვერ დაავალებდნენ დაწესებულებას ბიუჯეტის საერთო ფორმის ცვლილებას. სწორედ აქედან გამომდინარე, საკითხი განისაზღვრა რჩევის და არა რეკომემდაციის სახით. იდენტურია მდგომარეობა პლაგიატის პროგრამასთან მიმართებით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საბაკალავრო ნაშრომი არ მოაზრებს კვლევის განხორციელებას .
რაც შეეხება მემორანდუმების საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას ზუსტად ვერ მოვთხოვთ რაოდენობასა და ხანგრძლივობას, საკითხი განსაზღვრული იქნა რჩევის სახით.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მემორანდუმს არ აქვს იურიდიული ძალა, სტანდარტი ითხოვს, რომ არსებობდეს კონრეტული დოკუმენტი, რომელიც უნდა ადგენდეს სტუდენტთა სავარუდო რაოდენობას მაინც.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოცემული მოთხოვნა არ შეიძლება მიჩნეული იქნას როგორც სამართლიანი, ვინაიდან დაწესებულებას საკამოდ გაუჭირდება ამ პირობის დაკმაყოფილება.
ექსპერტმა ისაუბრა ასევე ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამავე დროს, პროგრამებისთვის ფინანსები გათვალისწინებულია ფაკულტეტის ბიუჯეტში. ის წარმოადგენს ცენტრალური ბიუჯეტის განუყოფელ ნაწილს. საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის გამოანგარიშებას უზრუნველყოფს სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის მეჯენერის სამსახური. ფაკულტეტის ბიუჯეტის მხოლოდ მცირე ნაწილია პროგრამის სტუდენტთა მიერ გადახდილი სწავლის საფასური. აქედან გამომდინარე, პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია არა მარტო პროგრამის, არამედ საერთო შემოსავლით. საყურადღებოა, რომ ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყარო მოიცავს ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და უშუალოდ სტუდენტების მიერ სწავლებაში გადახდილ თანხებს, მეორე მხრივ, ექსპერტული მომსახურებით, შეკვეთილი ტრეინინგებით, სამეცნიერო გრანტებით და სხვა მსგავსით მოზიდული სახსრებს.
რაც შეეხება 2.4 სტანდარტს, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების გარკვეული ნაწილი საჭიროებს პირობების დაზუსტებას, რადგან ზოგიერთ მემორანდუმში არაა მითითებული პრაქტიკის გავლის ვადა და სტუდენტთა რაოდენობა არაა მითითებული. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ კარგი იქნება მემორანდუმების გარკვეული ნაწილის პირობების დაზუსტება. აღნიშნ ული გამომდინარეობს სტანდარტიდან, თუმცა სპეციფიკის გათვალისწინებით საკითხი განისაზღვრა რჩევის სახით.
ექსპერტმა ასევე, ისაუბრა პრაქტიკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ზოგადად საკმაოდ მნიშვნელოვანია ინჟინერიის პროგრამას გათვალისიწნებული ჰქონდეს ცალკე სამეწარმეო პრაქტიკა, თუმცა აღნიშნული პროგრამა ძირითადად მეცნიერებეთა ბაკალავრია, ამიტომაც

პრაქტიკა, ცალკე სასწავლო კურსად არ არის გამოყოფილი. დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ გასაძლიერებელია საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც მხოლოდ 15 საათის მოცულობით არის გათვალისწინებული სასწავლო კურსში „საბაკალავრო ნაშრომის შესავალი“

მნიშვნელოვანია ასევე, რომ როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, საბაკალავრო ნაშრომი არ მოწმდება აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე. არადა როცა უნივერსიტეტს აქვს ანტიპლაგიატის პროგრამა და საბაკალავრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტად მოიაზრება, უპრიანი იქნება აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმის ამოქმედება საბაკალავრო ნაშრომის მიმართაც. ამ პროცესს სტუდენტი შეეჩვევა ბაკალავრიატის ეტაპზევე და სამაგისტრო საფეხურზე გადასვლისას ბაკალავრი ადვილად მოახდენს ადაპტაციას, ასევე, არ იქნება მისთვის უცხო ანტიპლაგიატის პროგრამის მოთხოვნები, რაც სასწავლო პროცესის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფასაც უკავშირდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამის შედგენისას და მათ შორის სასწავლო კურსების რიგითობის განსაზღვრისას, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა „სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს“ ABET აკრედიტებული ანალოგიური პროგრამის პრაქტიკა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას აძლიერებს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ შესაფასებლად წარმოდგენილი „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამა, სხვა ხუთ პროგრამასთან ერთად, გათვალისწინებულია ABET აკრედიტაციისთვის მომზადებულ საუნივერსიტეტო პროექტში.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, სასწავლო კურსი „აკადემიური წერის ელემენტები“ არის თავისუფალი კომპონენტების ჩამონათვალში (შვიდი სასწავლო კურსიდან ერთ-ერთი), მასში აღწერილია აკადემიური ტექსტის ორგანიზების ზოგადი მიდგომები და სტანდარტები, ხოლო „საბაკალავრო ნაშრომის შესავალში“ და „საბაკალავრო ნაშრომში“ აღწერილია კონკრეტული მიმართულების საბაკალავრო ნაშრომის შესრულების მოთხოვნები. მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, პროგრამაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბაკალავრო ნაშრომის ხარისხს და მისი შესრულების პროცესი იყოფა ორ ნაწილად (ABET აკრედიტებული პროგრამების ანალოგების გათვალისწინებით და, ასევე, ABET ექსპერტების კონსულტაციებზე დაყრდნობით). იდენტური მიდგომებია გამოყენებული ანალოგიურ პროგრამებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მნიშვნელოვანია ასევე პლაგიატის საკითხი, კერძოდ დაწესებულებას მოცემულ პროგრამაზე ჯერ-ჯერობით არ ჰყავს მე-3 და მე-4 კურსელები, შესაბამისად, საბაკალავრო ნაშრომიც ფატქობრივად არ არსებობს, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა გუნდმა შექმნა საბაკალავრო ნაშრომის ნიმუშები, რაც განსაზღვრულია ,,საბაკალავრო ნაშრომის“ დამხმარე ლიტერატურაში.

აღსანიშნავია ასევე, რომ ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის დეპარტამენტში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური დახმარებით მოეწყო ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის თანამედროვე ლაბორატორია, რომელიც საშუალებას მისცემს დაწესებულებას ჩაატაროს ამ პროგრამის ფარგლებში არსებული საგნებისათვის სხვადასხვა სახის ლაბორატორიული სამუშაოები,

რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, პროგრამის მუდმივი გაუმჯობესების მიმართულებით უნივერსიტეტმა შეიმუშავა და განაახლა არაერთი მექანიზმი. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით, 2021 წლის 08 ნოემბერს დამტკიცებული დებულება „საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტი პირდაპირ პასუხობს და უზრუნველყოფს რეკომენდაციაში ასახულ საკითხს.

უნივერსიტეტში დაინერგა პროგრამით დაინტერესებულ პირთა (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები) გამოკითხვის ახალი სისტემა, რომელიც აღჭურვილია კვალიფიციური კითხვარების ერთიანი ელექტრონული პლატფორმით, რომელსაც აქვს მართვის, მონაცემთა დამუშავების სისტემა ნედლი ინფორმაციის ერთიან ფორმატში წარმოდგენის ფუნქციით და ა.შ. ამასთან, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებში განსაზღვრულია პასუხისმგებელ სპეციალისტთა გუნდი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის ანალიზს და მათ მიერ მომზადებული ანგარიშები წარმოადგენენ შემდგომი რეკომენდაციების მომზადების საფუძველს. გარდა ამისა, უნივერსიტეტში ფუნქციონირებას აგრძელებს რექტორის ბრძანებით შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები, რომელთა მიზანია უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ წარდგენილი და მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის, აგრეთვე, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პერიოდული შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა, ასევე, მემორანდუმებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემული ხელშეკრულებები სრულად ფარავს პროგრამის საჭიროებებს, ის რომ მემორანდუმები დამატებით საჭიროებენ დაკონკრეტებას, დაწესებულება იზიარებს და განაგრძობს ამ კუთხით მუშაობას.

რაც შეეხება რეკომენდაციას, სწავლა-სწავლების მეთოდთან დაკავშირებით, სასწავლო კურსების „ელექტრული სისტემები“, „კიბერუსაფრთხოება ელექტროენერგეტიკულ სისტემებში“, „ზოგადი ქიმია A“ სილაბუსები შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება № 3 "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ". სავარაუდოდ, კითხვის ნიშანს აჩენს სწავლება-სწავლის მეთოდი - ლაბორატორიული მეცადინეობა და შეფასების მეთოდი - ლაბორატორიული სამუშაოს შესრულების შეფასება (ლაბორატორიული სამუშაოს აღწერა, შესრულება, ანგარიში, გაფორმება და წარდგენა), რომელიც საინჟინრო მიმართულებებში აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტულ სასწავლო კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შესაფასებლად.

საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით, დაწესებულება ითხოვს ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნას და დააზუსტა, თუ რა იძლევა გარანტიას იმისა, რომ სტუდენტს ექნება შესაბამისი ცოდნა და დაძლევს B2 დონის სწავლებას. რაც შეეხება დარგობრივ ინგლისურ ენას, ძირითადად მოცემულია თეორიული ნაწილი, სადაც განსაზღვრულია ისეთი საკითხები რაც უმეტესად საჭირო არ არის საბაკალავრო დონისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემული სასწავლო კურსის არსებობა არის ABET-ის მოთხოვნა. პროგრამის დამატებითი წინაპირობის გათვალისწინებით პროგრამის კურიკულუმი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს 5 სასწავლო კურსს ინგლისურ ენაზე დაეუფლოს, რაც საშუალებას მისცემს გაიღრმავოს პროფესიული ინგლისური ენის ცოდნის კომპეტენციები და ახალ შესაძლებლობებს გაუხსნის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა, თუ რამდენად რელევანტური და ადეკვატურია სტუდენტის 15-ჯერ შეფასება. მაგალითად პირველივე ლექციაზე, რომ განხორციელდეს სტუდენტის შეფასება რეალისტური არის თუ არა აღნიშნული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო პროცესი გრძელდება 15 კვირა, თუმცა შეფასების ნაწილი მოცულია 14 კვირის ფარგლებში, ვინაიდან პირველი კვირა შეფასების ნაწილში არ არის გათვალისწინებული.

ექსპერტმა განმარტა, რომ რამდენიმე დისციპლინის სილაბუსიდან გამოიკვეთა აქტივობების რეალისტურ და სემესტრის განმავლობაში მიღწევად რაოდენობამდე დაყვანის საჭიროება. მაგალითად, სასწავლო კურსის „ზოგადი ქიმია A“ სილაბუსში შეფასების ფორმებისა და მეთოდების განყოფილებაში ასახულია: ქვიზი ფასდება მაქსიმუმ 15 ქულით, ლაბორატორიული მეცადინეობა - მაქსიმუმ 15 ქულით. ქვიზი ტარდება სემესტრში 5-ჯერ და

თითო ქვიზი ფასდება 3 ქულით. ცალკეა გათვალისწინებული 1-ქულიანი ლაბორატორიული მეცადინეობა, რომელიც სემესტრის განმავლობაში 15-ჯერ ტარდება. შესაბამისა დ, 15 კვირის განმავლობაში უნდა ჩატარდეს 15 ლაბორატორიული სამუშაო და 5 ქვიზი, ანუ 20 აქტივობა. არადა პირველი სასემინარო კვირა გაცნობითი ხასიათისაა და გამოკითხვა არ ტარდება, შუალედური გამოცდის კვირა გამოკითხვას ვერ დაეთმობა, ე.ი. 15 კვირიდან დარჩა 13 აქტიური კვირა შესაბამისი აქტივობებისთვის. ფიზიკურად დარჩენილ კვირაში ვერ ხერხდება 20 აქტივობის ჩატარება.
ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამაში აღწერილი საგნების მეთოდები, ძირითადად, შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს. სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები თუ აქტივობები, საბოლოო ჯამში, ითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას. რამდენადაც ცნობილია, სწავლების მეთოდი არის მასალის მიწოდების ერთგვარი სისტემური ხერხი, გზა თუ ტექნიკა, რომელიც ეხმარება ლექტორს სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვასა და სტუდენტებისთვის რელევანტური უნარების გამომუშავებაგანვითარებაში. სასწავლო კურსის მიზნები განსაზღვრავს განსახორციელებელი აქტივობების შინაარსს, მოსალოდნელ შედეგებს და, საბოლოო ჯამში, ქმნის კარგ საფუძველს სტუდენტთა პროგრესისთვის. ასეთია სწავლების მიზნების, აქტივობების, სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი. როგორც ცნობილია, აქტივობაში სხვა შინაარსია ჩადებული, კერძოდ, აქტივობის არსის გასარკვევად უნდა გაეცეს პასუხი შეკითხვას თუ რა დავალებას ასრულებს სტუდენტი.
დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, იმ მიზნით რომ პროგრამაზე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს ჩატარების თარიღით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:42
დასრულების დრო: 16:55

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:**

**რეკომენდაციები:**

1. მიზანშეწონილია, გადაიხედოს სასწავლო კურსების: „ელექტრული სისტემები“, „საინჟინრო ელექტრონიკის საფუძვლები“, „ენერგეტიკული ელექტრონიკა“, „ელექტროტექნიკური მოწყობილობების ანალიზი გამოყენებითი პროგრამული პაკეტებით LabVIEW, MULTISIM, Matlab“, „ელექტრული ენერგიის გარდაქმნა (ელექტრული მანქანები)“ თან(ა)მიმდევრობა;
2. მიზანშეწონილია, გადაიხედოს სასწავლო კურსში „შესავალი სისტემათა ინჟინერინგში“ აღწერილი სწავლის შედეგები, კერძოდ, რამდენად მიღწევადია ის სტუდენტისათვის პროგრამით განსაზღვრულ სემესტრში შესწავლისას;

3. მიზანშეწონილია, აღმოიფხვრას „საბაკალავრო ნაშრომის“, „საბაკალავრო ნაშრომის შესავლისა“ და „აკადემიური წერის ელემენტების“ ურთიერთგადაფარვები, ასევე, გაერთიანდეს ისინი ორ სასწავლო კურსში დუბლირების თავიდან ასაცილებლად;
4. რეკომენდებულია, რამდენიმე საგნის („ელექტრული სისტემები“, „კიბერუსაფრთხოება ელექტროენერგეტიკულ სისტემებში“, „ზოგადი ქიმია A“, „ეკონომიკის პრინციპები“, „შრომის დაცვის საფუძვლები“ და სხვა) სილაბუსში გამოირიცხოს სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობის აღრევა, ხოლო სწავლის მეთოდები გაიმიჯნოს შეფასების მეთოდებისგან;
5. მიზანშეწონილია, სასწავლო კურსების („ზოგადი ქიმია A“, „ეკონომიკის პრინციპები“, „ენერგეტიკული ელექტრონიკა“ და სხვა) სილაბუსებით გათვალისწინებული აქტივობები ისე განისაზღვროს, რომ მათი შეფასება სემესტრის განმავლობაში რეალიზებადი და რეალისტური იყოს;
6. მიზანშეწონილია, გაძლიერდეს მონიტორინგის ღონისძიებები პროგრამაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა-შევსების, მათ შორის დაინტერესებულ აქტორთა საჭიროებების პერიოდულად გარკვევის, სასწავლო კურსების დახვეწის, შეფასების სისტემისა და სხვა ნაწილების გაუმჯობესების მიმართულებით;
7. რეკომენდირებულია, ზოგიერთი მემორანდუმის პირობები დაზუსტდეს, მათ შორის სტუდენტთა რაოდენობისა და პრაქტიკის გავლის ხანგრძლივობის მითითებით;
8. რეკომენდირებულია, ზოგიერთი სასწავლო კურსის (სილაბუსების დანართში – რიგით მე-9, 24-ე, 26-ე, 27-ე, 33-ე, 34-ე, 38-ე 47-ე, 48-ე, 49-ე, 50-ე, 51-ე, 52-ე, 53-ე) სილაბუსით გათვალისწინებულ შეფასების სისტემაში დაზუსტდეს, რა შემთხვევაში იწერება კონკრეტული ქულა;
9. რეკომენდირებულია, უნივერსიტეტს ჰქონდეს შემუშავებული საბაკალავრო ნაშრომის აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე შემოწმების მექანიზმი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია სასწავლო პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება;
2. სასურველია, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით და ელექტრული ინჟინერიის დარგის მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამას დაემატოს არჩევითი კომპონენტის სახით სასწალო კურსები: „ელექტრული აპარატები“, „მაღალი ძაბვის ქსელები“, „ელექტროამძრავი.“;
3. სასურველია, განახლდეს რამდენიმე სასწავლო კურსის („სოციოლოგიის შესავალი“, „შესავალი ფსიქოლოგიაში“ და სხვა) სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც უნდა ქმნიდეს სემესტრის განმავლობაში მათი გაცნობის გონივრულ ვარაუდს;
4. სასურველია, სასწავლო კურსის „შრომის დაცვის საფუძვლები“ სახელწოდებაში უფრო მეტად აისახოს უშუალოდ სპეციალობასთან (ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია) კავშირი;
5. სასურველია, ხელი შეეწყოს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებასა და მათ შემდგომ აქტიურ ჩართულობას პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ინტერნაციონალიზაციის პროცესებში;
6. სასურველია, უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
7. კარგი იქნება, პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტში უფრო დეტალურად აისახოს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობებისთვის აუცილებელი ხარჯები;

8. კარგი იქნება, უნივერსიტეტმა ცალკე დოკუმენტად შეიმუშავოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი, რომელიც დაარეგულირებს სასწავლო პროცესის სრულ ციკლს (შუალედური და ფინალური გამოცდების ჩატარება, ლექციების ჩაწერის დასაშვებობა, შინაარსობრივი საკითხების შესახებ მხარდაჭერა და სხვა);
9. სასურველია, ცალ-ცალკე შეფასდეს სასწავლო პროცესი, კურსები და პროფესორმასწავლებელთა საქმიანობა ისე, რომ თითოეულ კომპონენტში მიღებული შედეგები გაანალიზდეს ჯერ დამოუკიდებლად, შემდეგ კი მთლიანობაში პროგრამის დახვეწის მიზნით; სისტემატურად მიეწოდოს პროფესორ-მასწავლებელს ყოველსემესტრული შედეგების შესახებ მონაცემები;
10. სასურველია უნივერსიტეტმა გარკვეული პერიოდულობით დამსაქმებლებისგან მიიღოს რჩევები შრომის ბაზარზე არსებული საჭიროებების თაობაზე;
11. სასურველია, თვითშეფასების დოკუმენტი, რომელსაც დაწესებულება მომავალში შეადგენს აკრედიტაციის მიზნებისთვის, უფრო მეტად ასახავდეს პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების სრულ ჩამონათვალს და მათი აღმოფხვრის შესაბამის ღონისძიებებს;
12. კარგი იქნება, დაზუსტდეს პროგრამის მონიტორინგის პერიოდულობა, პროგრამის დახვეწის პროცესში კი დამსაქმებლები უფრო მეტად იყვნენ ჩართული მათი საჭიროებების დასადგენად.

**გადაწყვეტილება**: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-$3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთ წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**3. მესამე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;**

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ლოგისტიკა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | გადაწყვეტილება N645440, 2021 წლის 29 ივნისი |

| | | |
|---|---|---|
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | ლოჯისტიკა |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მეექვსე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | საინჟინრო ლოგისტიკის მაგისტრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული, 0719 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი | მ.კოსტავას ქ. N68, ქ. თბილისი, სასწავლო კორპუსიN1, 0175, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ეკატერინა შაკიაშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ლოგისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 6 თვეში ანგარიშის წარდგენით. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2021 წლის 15 დეკემბერი. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში წარმოდგენილი იქნა 2021 წლლის 13 დეკემბერს. უნივერსიტეტის მიერ

წარმოდგენილი ანგარიში შევსებულია სწორად, სრულყოფილად (თუ არ გავითვალისწინებთ, რომ მეექვსე რეკომენდაციის შესრულების ამსახველ ცხრილში „კომპონენტის დასახელების“ ამსახველ გრაფაში შეცდომით დაფიქსირებულია „რეკომენდაცია“, ხოლო „რეკომენდაციის“ შესაბამის გრაფაში დაფიქსირებულია „აღწერა“, რაც წარმოადგენს უმნიშვნელო ტექნიკურ ხარვეზს). ანგარიშის მომზადების პროცესში მივმართეთ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შუამდგომლობისთვის უნივერსიტეტიდან დამატებითი დოკუმენტაციის მოწოდების თაობაზე. უნივერსიტეტმა დროულად მოგვაწოდა მის ხელთ არსებული დამატებითი დოკუმენტაცია. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში ფიქსირდება შვიდი რეკომენდაცია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშით და თანდართული დოკუმენტებით ირკვევა, რომ სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ლოგისტიკის დეპარტამენტის 2021 წლის 5 ივლისის სხდომაზე „ლოგისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით სამუშაო ჯგუფის მიერ სრულად არის შესრულებული ექვსი რეკომენდაცია, ხოლო მეშვიდე რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

უმჯობესი იქნება შეიცვალოს კურსების „დისტრიბუცია და საწყობის მენეჯმენტი“ და „მიწოდებათა ჯაჭვის მენეჯმენტი“ შესწავლის რიგითობა;

საჭიროა დაზუსტდეს ზოგიერთი სილაბუსის დასათაურების და შინაარსის შესაბამისობა და ზოგიერთი შესასწავლი თემის თანხვედრა;

რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო გეგმა სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში და შემუშავდეს აკადემიური წერის სტანდარტებისა და კვლევის მეთოდების საკითხების ამსახველი სასწავლო კურსი/ები; საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

რეკომენდირებულია „სასწავლო პრაქტიკის“ დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ძირითადი სასწავლო სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები (1,2 სემესტრის კურსები);

რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებულ იქნას უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შეესაბამება სამაგისტრო დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;

რეკომენდებულია დაზუსტდეს როგორ, სად არის გამოყენებული მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ. წარმოდგენილი მტკიცებულებები პასუხობს რეკომენდაციის იმ ნაწილს, სადაც საუბარია იმაზე, თუ „როგორ ხდება მონიტორინგი და პერიოდული შეფასება“. აღნიშნულ ნაწილში რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად. თუმცა რეკომენდაციის დანარჩენი ნაწილის, კერძოდ, „სად არის გამოყენებული მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები პროგრამის გასაუმჯობესებლად“ შესრულების შესახებ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული. ექსპერტებმა მიმართეს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შუამდგომლობისთვის უნივერსიტეტიდან დამატებითი დოკუმენტაციის მოწოდების თაობაზე, მათ შორის „მეშვიდე რეკომენდაციის შესრულების დამატებითი მტკიცებულებები. მაგ. უკანასკნელი გამოკითხვით მიღებული შედეგები და მისი ანალიზი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)“. უნივერსიტეტმა მართლაც მოგვაწოდა ჩვენს მიერ გამოთხოვილი რიგი დოკუმენტაცია, თუმცა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების თაობაზე დამატებითი დოკუმენტი არ ყოფილა მოწოდებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა დაწესებულების მიერ შესასრულებელი მე-5 რეკომენდაცია და მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს დაეზუსტებინათ აღნიშნული საკითხი.

ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაციის შესრულების მტკიცებულებად მითითებულია სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ლოგისტიკის დეპარტამენტის სხდომის ოქმი. წარმოდგენილი მტკიცებულება რეკომენდაციის შესრულების შეფასებისთვის არასაკმარისია, ვინაიდან სამუშაო ჯგუფის მიერ აღნიშნული რეკომენდაციის განხილვის და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილ დოკუმენტში არ იძებნება. ექსპერტებმა მიმართეს ცენტრს შუამდგომლობისთვის უნივერსიტეტიდან დამატებითი დოკუმენტაციის მოწოდების თაობაზე, მათ შორის „სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა“ კვლევითი კომპონენტის სილაბუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უნივერსიტეტმა მართლაც მიაწოდა ექსპერტებს რიგი დოკუმენტი , თუმცა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების თაობაზე დამატებითი დოკუმენტი არ ყოფილა მოწოდებული. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სხვა დოკუმენტების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მეხუთე რეკომენდაცია განხილულია დეპარტამენტის სხვა სხდომაზე და ასახულია სხვა ოქმში. დაწესებულება მზაობას აცხადებს რეკომენდაციის გათვალისწინებაზე, თუმცა მათი შესრულების კონკრეტული სამუშაო გეგმა წარდგენილი არ ყოფილა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა მოახსენა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიზანია პროგრამამ იფუნქციონიროს სრულყოფილად. ინსტიტუცია მზადაა განახორციელოს სხვადასხვა აქტივობები პროგრამის განვითარებისა და მოდიფიკაციის მიზნით. ამასთან აუცილებელია მუდმივად ჩატარდეს მონიტორინგი, რაც მოიცავს როგორც სტუდენტთა გამოკითხვას, ასევე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და შრომის ბაზრის კვლევას. უნივერსიტეტი, ასევე, აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ცდილობს დაადგინოს თუ რა სჭირდება სტუდენტს, რომ შემდგომ მაქსიმალურად მოხდეს მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ასევე, ისაუბრა განხორციელებული ცვლილებების შესახებ , კერძოდ აღნიშნა, რომ მოხდა სილაბუსების დახვეწა და მოდიფიცირება, ასევე პროგრამასა და სილაბუსებში დამატებული იყო რიგი საკითხ ი თანამედროვე რისკებთან დაკავშირებით. ამასთან, შეირჩა ნაშრომების თემატიკებიც.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის პროცესისათვის განხორციელდა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები. რაც შეეხება პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას, აღნიშნული მუდმივად ხორციელდება, როგორც აკრედიტაციის მიზნით, ასევე პროგრამის ციკლის დასრულების შემდგომ და, საბოლოოდ ხდება მონიტორინგის შედეგების დადარება სამიზნე ნიშნულებთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:25
დასრულების დრო: 17:35

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი, დათქმით, რომ შესრულებულ იქნეს მე-5 და მე-7 რეკომენდაცია.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და დაწესებულებას განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:**

1. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებულ იქნას უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შეესაბამება სამაგისტრო დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
2. რეკომენდებულია დაზუსტდეს როგორ, სად არის გამოყენებული მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**გადაწყვეტილება**: აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ლოგისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

**4. მეოთხე საკითხი : შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;**

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | გადაწყვეტილება N172, 2019 წლის 01 აგვისტო |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ერთსაფეხურიანი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | ერთსაფეხურიანი |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი<br>Medical Doctor |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | მედიცინა, 0912 |
| 12 | სწავლების ენა | ინგლისური |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 360 |
| 14 | განხორციელების ადგილი | თბილისი, ირინა ენუქიძის #3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ); 0159 |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 27 დეკემბერს. ექსპერტთა ჯგუფის წევრები იმყოფებოდნენ ვიზიტით უნივერსიტეტის კლინიკური უნარების ცენტრში, ასევე კლინიკურ ბაზებზე - ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრსა და სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში. ექსპერტები გაესაუბრნენ ადგილობრივ კლინიკურ პერსონალს. ბაზებზე ვიზიტის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი ზუმით გაესაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. ასევე ჩატარდა ინტერვიუ სტუდენტებთან. ვიზიტის ბოლოს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ექსპერტთა პანელის თავმჯდომარემ გააცნო ძირითადი მიგნებები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:
უცხოენოვანი აბიტურიენტისათვის (აბიტურიენტი, რომელის მშობლიური ენა არ არის ინგლისური) და მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის (როგორც საქართველოს სივრციდან, ასევე მის გარეთ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის B2 დონე, რაც შეიძლება დადასტურდეს ვალიდური სერტიფიკატის მოთხოვნით ან გამოცდის ჩატარებით;
  პროგრამის სწავლის შედეგი უნდა ასახავდეს პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს, აქედან გამომდინარე, ქართული ენის სასწავლო კურსის მოცულობა და შესაბამისად სწავლის შედეგი, ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგზე გასვლას (პაციენტებსა და კოლეგებთან ეფექტური კომუნიკაცია). აუცილებელია ქართული ენის სასწავლო კურსის მოცულობის გაზრდა;
კლინიკური პრაქტიკის დაგეგმვისას სტუდენტთა რაოდენობა ჯგუფებში უნდა შეესაბამებოდეს კლინიკის შესაძლებლობას და ხორციელდებოდეს კლინიკებთან შეთანხმებით. არსებული მდგომარეობით, კლინიკური პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს ბაზებზე ხარისხიან სწავლებას;
როტაციის ცხრილები სტუდენტისათვის უფრო ინფორმატიული უნდა იყოს, კერძოდ, უნდა იყოს მითითებული ის კლინიკები, სადაც როტაცია ტარდება კვირის იმ კონკრეტულ დროს;
კლინიკური პრაქტიკა, რომელიც ვერ განხორციელდა პანდემიის პირობებში, უნდა იქნას ეტაპობრივად აღდგენილი სასწავლო წლის დასრულებამდე;
ინტეგრირებულ მოდულებში შეფასება ინტეგრირებული სახით განხორციელდეს;
ინტეგრირებულ ბლოკებში მცირე მოცულობის საგნებს დაუწესდეს შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე ზღვრები, რაც აღნიშნული საგანის სწავლის შედეგზე გასვლას უფრო მეტად უზრუნველყოფს;
OSCE გამოცდის მიმდინარეობისას გაკეთდეს გამოცდის ვიდეოჩანაწერი;

გადამზადდეს უფრო მეტი პერსონალი OSCE სათანადოდ მომზადების და ჩატარების უზრუნველსაყოფად;
პერსონალი უკეთესად ინფორმირდეს უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ;
OSCE გამოცდებში გამოყენებული იქნას სტანდარტიზებული პაციენტი;
ინსტიტუციამ იზრუნოს აფილირებული კლინიკის მოპოვებაზე;
მოხდეს დამატებით ადგილობრივი კლინიკური ბაზების მოძიება;
დაკორექტირდეს ხელშეკრულებები არსებულ კლინიკურ ბაზებთან. კერძოდ, ხელშეკრულებაში აისახოს კლინიკის მიმართულებები; დეპარტამენტები; დეპარტამენტში კლინიკურ პრაქტიკაზე მისაღები ჯგუფების ოპტიმალური რაოდენობა კვირის ან თვის განმავლობაში; სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფებში; ხელშეკრულებაში გაიწეროს მყარი გარანტია იმისა, რომ კლინიკის სხვა ინსტიტუციის სტუდენტებით მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში, გრსუ-ის სტუდენტებიც შეუფერხებლად გაივლიან პრაქტიკას.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რჩევები:**
პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმში, პროგრამაში განხორციელბულ სხვა ცვლილებებთან ერთად, უნდა იყოს ასახული ინფორმაცია პროგრამის განახლების შესახებ ახალი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით;
უცხო ქვეყნებიდან აბიტურიენტთა კარგი კონტინგენტის შერჩევის მიზნით, სასურველი იქნებოდა, სამედიცინო მიმართულებით სწავლის მოტივაციის შემოწმება გასაუბრების გზით;
სასურველია პროგრამის კლინიკური ნაწილის ინტეგრაციის გაზრდა;
სასურველია, კლინიკური უნარების სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათები გაიზარდოს დამოუკიდებელი საათების შემცირების ხარჯზე;
სასურველია პროგრამის გამდიდრება შეფასების თანამედროვე მეთოდებით;
აკადემიური პერსონალის თანაფარდობა (პროფესორი/ასისტენტი) არათანაბარია და სასურველია გადაიხედოს.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ 2.6 კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა მე-8 რეკომენდაცია და განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ვიდეოჩანაწერის არსებობა არის ყველაზე ოპტიმალური - აღნიშნული არ არის სავალდებულო. აქედან გამომდინარე, უმჯობესია მოცემული რეკომენდაცია განისაზღვროს რჩევის სახით. რაც შეეხება მე-11 რეკომენდაციას, სტანდარტიზებულის გარდა შესაძლებელია, ასევე, სიმულაციური პაციენტის გამოყენებაც. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა დააზუსტა იყო თუ არა აღნიშნული რესურსი გამოყენებული.
საბჭოს წევრმა ისაუბრა, ასევე, კლინიკურ ბაზებთან დაკავშირებით და დააზუსტა ძირითადი კლინიკური დისციპლინებიდან არის თუ არა ისეთი დისციპლინები, რომლებსაც არ აქვთ კლინიკური ბაზები.
ამასთან, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ როგორ ხორციელდებოდა კლინიკური კურაცი ები ჰიბრიდული სწავლების ფორმატის ფარგლებში. ასევე, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ, თუ როგორ ტარდებოდა OSCE-ს გამოცდები და თუ ხდებოდა მათი ონლაინ განხორციელება, რამდენად შეიძლება აღნიშნული ჩაითვალოს ობიექტურ სტრუქტურირებულ გამოცდად.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ დააზუსტა, ტარდება თუ არა დაწესებულებაში პროგრამაზე მომუშავე აკადემიური პერსონალის გადამზადება და რა ფორმითა და რესურსებით ხორციელდება აღნიშნული.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა მე-3 რეკომენდაცია და მოუწოდა ექსპერტებს სტანდარტის შეფასებისკენ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამა ითვალისწინებს, კლინიკური უნარების შეფასებასაც ე.წ. OSCE -ის სახით. სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ OSCE ტარდება მხოლოდ online, ისევე როგორც ზოგიერთი კლინიკური საგანი. თუმცა რეკომენდაციის შესაბამისად მნიშვნელოვანია არსებობდეს ვიდეოჩანაწერი, რაც უპირველეს ყოვლისა გასაჩივრების პროცესის პირობებში იქნება საუკეთესო გამოსავალი. ამასთან, ხშირად აკრედიტაციის პროცედურის დროს ყველაზე კარგი დამადასტურებელი მასალა იმისა, რომ ესა თუ ის ღონისძიება ნამდვილად ტარდება არის მისი ვიდეოჩანაწერი. სხვა დამადასტურებელი მასალა ნამდვილად არ იყო უზრუნველყოფილი დაწესებულების მიერ იმისთვის, რომ საკითხი არ განსაზღვრულიყო რეკომენდაციის სახით.
რაც შეხება სტანდარტიზებულ პაციენტებს, ექსპერტები სრულიად იზიარებენ საბჭოს წევრთა მოსაზრებას საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან ორივე სახის პაციენტის გამოყენება შესაძლებელია თანაბარწილად. თუმცა უნდა განიმარტოს, რომ წინა საბჭოს ოქმში, რეკომენდაციის სახით მოთხოვნილი იყო სტანდარტიზებული პაციენტის გამოყენება.
ექსპერტმა, ასევე, ისაუბრა კლინიკურ ბაზებსა და პრაქტიკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა უნდა გააგრძელოს ადეკვატური კლინიკური ბაზების მოძიება სტუდენტებისთვის პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით. ათ კლინიკურ ბაზასთან გაფორმებულია მემორანდუმი, ხოლო რვასთან - ხელშეკრულება. მათი უმრავლესობა ძალიან ზოგადია და არ ასახავს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტებიც გაივლიან კლინიკურ პრაქტიკას შეფერხების გარეშე; უმჯობესია იყოს ერთი სტანდარტული სახის, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მიმართულებები, სტუდენტთა ჯგუფების რაოდენობა, ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა, სასწავლო კურსების ჩამონათვალი, პაციენტთა წლიური რაოდენობა მიმართულების მიხედვით და მყარი გარანტიები ბაზაზე კლინიკური პრაქტიკის შეუფერხებლად ჩატარების შესახებ. უმჯობესი იქნება, თუ პროგრამა უზრუნველყოფილი იქნება მულტიპროფილური აფილირებული კლინიკით. მართალია, ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი პროგრამის კომიტეტის ოქმები ამტკიცებენ, რომ ის კლინიკური როტაციები, რომელიც ვერ განხორციელდა პანდემიის გამო, აღდგენილ იქნა, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა, წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კლინიკური პრაქტიკის სრულყოფილად და ეფექტურად ჩატარებაში. ამასთან, ინტერვიუზე არსებულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მხოლოდ დერმატოლოგიის სასწავლო კურსი გაიარეს კლინიკაში.
საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილმა დააზუსტა ჰქონდათ თუ არა ექსპერტებს კომუნიკაცია და ინტერვიუები დამსაქმებლებთან.
ექსპერტმა საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დამსაქმებლებთან ინტერვიუები ვიზიტის ფარგლებში არ იყო ჩანიშნული. თუმცა პრაქტიკის ობიექტებზე მოხდა გასაუბრება კონკრეტულ განმახორციელებელ პედაგოგებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტთა პროგრამაზე დაშვების წინაპირობის განსაზღვრის დროს უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს მინისტრის ბრძანებით, რაც დაწესებულების მიერ არ იქნა დარღვეული. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს უნივერსიტეტები აბიტურიენტებს იღებენ მხოლოდ მაშინ, თუ მათ მოპოვებული აქვთ უმაღლესი გ ანათლების მიღების უფლება ქვეყნის კანონმდებლობით.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პროგრამა თავად განიხილა მოცემული საკითხი და მუშაობს მისი მოგვარების მიზნით, ხოლო ამავე საკითხის რეკომენდაციის ფორმატით წარდგენა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს შორის ერთგვარ დაბნეულობას იწვევს.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერისტეტი, ხარისხის მართვის პროცესის ფარგლებში, თავად ავლენს პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს და იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული დისციპლინის მოცულობის გაზრდის შესახებ - არა მექანიკურად, არამედ ანალიზის საფუძველზე, რაც სრულად შეესაბამება თუნ ინგის სულისკვეთებას. სწორედ ამიტომ, იქნა მიღებული გადაწყვეტილება ერთი სასწავლო წლის თავზე გაანალიზდეს პროგრამის განხორციელების შედეგები და საერთო პროგრამულ კონტექსტში განისაზღვროს ქართული ენის სასწავლო პროგრამის მოცულობა და სტუდენტის საერთო დატვირთა.
მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრაქტიკა განსაზღვრულია მცირე ჯგუფებისთვის და ლოდინის ფაქტი, ნებისმიერ შემთხვევაში მხოლოდ ცალკეული სტუდენტების თვითნებობაა.
რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, შემოდგომის სემესტრის სტუდენტებმა კლინიკური პრაქტიკა გაიარეს 15 დისციპლინაში, ხოლო იანვარ-თებერვლისთვის გადმოტანილ იქნა და მიმდინარეობს პრაქტიკა 5 დისციპლინაში, მარტში კი სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას სამ დისციპლინაში.
შეფასებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მინისტრის ბრძანების შესაბამისად, უნივერსიტეტში მიმდინარეობს ყველა, მათ შორის მედიცინის პროგრამის N3 ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა. პროგრამის აკრედიტაციის დროს შეფასების კომპონენტების მინიმალური ზღვარის განსაზღვრა არ მოითხოვებოდა და არც რაიმე მითითება ყოფილა ამასთან დაკავშირებით ექსპერტებისგან.
რაც შეეხება OSCE-ს გამოცდას, დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა მოსაზრებას ვიდეო ჩანაწერთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი სისტემატიურად აკვირდება OSCE -ს მიმდინარეობის პროცესს და ცდილობს განახორციელოს ეფექტური ღონისძიებები დასახვეწად.
მნიშვნელოვანია, ასევე, აკადემიური პერსონალის რაოდენობის საკითხი, კერძოდ, პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას უნივერსიტეტი ეყრდნობა არსებულ საერთაშორისო პრაქტიკას ორი ძირითადი პარამეტრის გათვალისწინებით, პერსონალის შეფარდება სტუდენტთა რაოდენობასთან და პერსონალის მიერ განხორციელებული სასწავლო კურსების შეფარდება პროგრამის საერთო კრედიტების რაოდენობასთან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საქართველოს მოქალაქეებისათვის შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. რაც შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, პროგრამაში დაშვების წინაპირობად მითითებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის № 224/ნ ბრძანება, რომელიც არ ითვალისწინებს ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის აუცილებლობის რეგულირებას. აქედან გამომდინარე, პროგრამაში ნათლად უნდა იყოს გაწერილი ზემოთ აღნიშნული დაშვების წინაპირობა უცხოენოვანი აბიტურიენტებისათვის და განსაზღვრული უნდა იყოს ინგლისური ენის ცოდნის დონის სერტიფიკატის ტიპიც. ამასთან ერთად, აუცილებელია კლინიკური ბაზებისა და პრაქტიკის საკითხი, რომელ იც თავად სტუდენტების გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ჩატარებული იყო ონლაინ. პრაქტიკა ჩატარდა მხოლოდ დერმატოლოგიის სასწავლო კურსთან მიმართებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუცია მუდმივად არის მიმართული განვითარებისკენ, შესაბამისად ხდება იდენტიფიცირებული ხარვეზების გამოსწორება და პროგრამის ყველა კუთხით განვითარება. ამასთან პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კლინიკები შეირჩა არა დაწესებულების მიერ, არამედ ცენტრის მითითებით. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა კვლევით თუ აკადემიურ საქმიანობაში, რის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია, ასევე, დაწესებულების ვებ-გვერდზეც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:17

დასრულების დრო: 20:00

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 60 დღიანი ვადის განსაზღვრა რეკომენდაციების შესასრულებლად.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

**აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:**

**რეკომენდაციები:**

1. პროგრამის სწავლის შედეგი უნდა ასახავდეს პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს, აქედან გამომდინარე, ქართული ენის სასწავლო კურსის მოცულობა და შესაბამისად სწავლის შედეგი, ჯეროვნად ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგზე გასვლას (პაციენტებსა და კოლეგებთან ეფექტური კომუნიკაცია). აუცილებელია ქართული ენის სასწავლო კურსის მოცულობის გაზრდა;
2. კლინიკური პრაქტიკის დაგეგმვისას სტუდენტთა რაოდენობა ჯგუფებში უნდა შეესაბამებოდეს კლინიკის შესაძლებლობას და ხორციელდებოდეს კლინიკებთან შეთანხმებით. არსებული მდგომარეობით, კლინიკური პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს ბაზებზე ხარისხიან სწავლებას;
3. კლინიკური პრაქტიკა, რომელიც ვერ განხორციელდა პანდემიის პირობებში, უნდა იქნას ეტაპობრივად აღდგენილი სასწავლო წლის დასრულებამდე;
4. ინტეგრირებულ მოდულებში შეფასება ინტეგრირებული სახით განხორციელდეს;
5. ინტეგრირებულ ბლოკებში მცირე მოცულობის საგნებს დაუწესდეს შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე ზღვრები, რაც აღნიშნული საგნის სწავლის შედეგზე გასვლას უფრო მეტად უზრუნველყოფს;
6. გადამზადდეს უფრო მეტი პერსონალი OSCE-ის სათანადოდ მომზადების და ჩატარების უზრუნველსაყოფად;
7. პერსონალი უკეთესად ინფორმირდეს უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ;
8. მოხდეს დამატებითი კლინიკური ბაზების მოძიება სასწავლო პროგრამაში შემავალი კლინიკური დისციპლინების კლინიკურ გარემოში სწავლების უზრუნველსაყოფად;
9. დაკორექტირდეს ხელშეკრულებები არსებულ კლინიკურ ბაზებთან. კერძოდ, ხელშეკრულებაში აისახოს კლინიკის მიმართულებები; დეპარტამენტები; დეპარტამენტში კლინიკურ პრაქტიკაზე მისაღები ჯგუფების ოპტიმალური რაოდენობა კვირის ან თვის განმავლობაში; სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფებში; ხელშეკრულებაში გაიწეროს მყარი გარანტია იმისა, რომ კლინიკის სხვა ინსტიტუციის სტუდენტებით მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში, გრსუ-ის სტუდენტებიც შეუფერხებლად გაივლიან პრაქტიკას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

1. პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმში, პროგრამაში განხორციელბულ სხვა ცვლილებებთან ერთად, უნდა იყოს ასახული ინფორმაცია პროგრამის განახლების შესახებ ახალი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით;
2. უცხო ქვეყნებიდან აბიტურიენტთა კარგი კონტინგენტის შერჩევის მიზნით, სასურველი იქნებოდა, სამედიცინო მიმართულებით სწავლის მოტივაციის შემოწმება გასაუბრების გზით;
3. სასურველია პროგრამის კლინიკური ნაწილის ინტეგრაციის გაზრდა;
4. სასურველია, კლინიკური უნარების სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათები გაიზარდოს დამოუკიდებელი საათების შემცირების ხარჯზე;
5. სასურველია პროგრამის გამდიდრება შეფასების თანამედროვე მეთოდებით;
6. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა (პროფესორი/ასისტენტი) არათანაბარია და სასურველია გადაიხედოს; უცხოენოვანი აბიტურიენტისათვის (აბიტურიენტი, რომელის მშობლიური ენა არ არის ინგლისური) და მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის (როგორც საქრთველოს სივრციდან, ასევე მის გარეთ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის B2 დონე, რაც შეიძლება დადასტურდეს ვალიდური სერტიფიკატის მოთხოვნით ან გამოცდის ჩატარებით;
7. როტაციის ცხრილები სტუდენტისათვის უფრო ინფორმატიული უნდა იყოს, კერძოდ, უნდა იყოს მითითებული ის კლინიკები, სადაც როტაცია ტარდება კვირის იმ კონკრეტულ დროს;
8. OSCE გამოცდის მიმდინარეობისას გაკეთდეს გამოცდის ვიდეოჩანაწერი;
9. OSCE გამოცდებში გამოყენებული იქნას სტანდარტიზებული/სიმულაციური პაციენტი;
10. ინსტიტუციამ იზრუნოს აფილირებული კლინიკის მოპოვებაზე.

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31 - ე მუხლის 22 - ე პუნქტის საფუძველზე შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვრა 60 კალენდარული დღე.

20:02- საბჭოს სხდომა დატოვა თეა მჭედლურმა

**5. მეხუთე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;**

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | "ფიზიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | გადაწყვეტილება N685345, 2021 წლის 7 ივლისი |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | ფიზიკა |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მეექვსე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ფიზიკის ბაკალავრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | ფიზიკა, 0533 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | გ. წერეთლის N3, 0162 თბილისი, საქართველო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის G კორპუსი |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა - ირინა ლობჟანიძემ
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 7 ივლისი გადაწყვეტილებით სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის (ძირითადი და დამატებით სპეციალობა) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა ანგარიში და ინფორმაცია საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ, რომლის საფუძველზეც დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია იქნა შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს დასკვნისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმდჯომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა თუ რამდენია ტურნიტინზე დამთხვევის პროცენტული მაჩვენებელი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პლაგიატზე მოწმდება როგორც სამაგისტრო, ასევე საბაკალავრო ნაშრომებიც. რაც შეეხება დამთხვევის მაჩვენებელს აღნიშნული ხშირად განსხვავდება, დაწესებულებას არ აქვს დადგენილი პროცენტული მაჩვენებელი ან რაიმე კონკრეტული ზღვარი. თუმცა ყველა შემთხვევაში დგინდება თუ რითი არის გამოწვეული ესა თუ ის დამთხვევა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:10
დასრულების დრო: 20:25

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
**გადაწყვეტილება**: აკრედიტაციის დებულების $27^{6}$ მუხლის მე - 2 პუნქტისა და $2^{11}$ პუნქტის საფუძველზე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

**6. მეექვსე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკა და ასტრონომიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;**

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფიზიკა და ასტრონომია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | გადაწყვეტილება N685413, 2021 წლის 7 ივლისი |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | ფიზიკა |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მეშვიდე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ფიზიკის მაგისტრი |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | ფიზიკა, 0533 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი | გ. წერეთლის N3, 0162 თბილისი, საქართველო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის G კორპუსი |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა - ირინა ლობჟანიძემ
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის და ასტრონომიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა ანგარიში და ინფორმაცია საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ, რომლის საფუძველზეც დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია იქნა შესრულებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს დასკვნისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:10
დასრულების დრო: 21:25

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკა და ასტრონომიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდეგნილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება**: აკრედიტაციის დებულების $27^{6}$ მუხლის მე - 2 პუნქტისა და $2^{11}$ პუნქტის საფუძველზე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკა და ასტრონომიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

**დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 20:30 საათზე.**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით